სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი **19.10.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტმანეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე;
გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლის ასოციაციის თავმჯდომარე, სხდომის მდივანი;
მარინე ჩიტაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ლაშა გოცირიძე - უკრაინის ამერიკული უნივერსიტეტის (American University of Ukraine) რექტორი;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის კოორდინატორი;
ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელი:

ლევან გორდეზიანი - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:

ლელა თვარაძე - დაწესებულების იურისტი;
გიორგი ფერაძე - ბიზნესის მართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
ლია კარიჭაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო მილაშვილი - ვეტერინარიის ფაკულტეტის დეკანი;
ნათია სიხარულიძე - ფილოლოგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:10 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28[5] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28[7] მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28[5] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება, სხდომის თავმჯდომარის დავალებით დაეკისრა საბჭოს წევრს, დავით კახნიაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ მასალას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ თავდაპირველად სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრს ლევან გორდეზიანს, რომელიც გახლდათ სხდომის თავმჯდომარე 2017 წლის 10 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, რათა მას დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
აკრედიტაციის საბჭოს წევრის, ლევან გორდეზიანის განცხადებით, 2017 წლის 10 ივლისს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. ვინაიდან საბჭოს არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით მისი თავმჯდომარეობა დაეკისრა მას.

ექსპერტების რამაზ ქურდაძისა და ნანა ფრუიძის მიერ წარმოდგენილი იქნა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და შენიშვნები, 10 ივლისის აკრედიტაციის ოქმი ნათლად ასახავდა იმ გარემოებებს თუ რატომ ეთქვა უარი პროგრამას აკრედიტაციაზე. ექსპერტების მიერ სხდომაზე პროგრამას მიეცა ფორმალურად დადებითი შეფასება, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები საბჭოს წევრების მიერ ჩაითვალა მნიშვნელოვან ხარვეზად მათი სერიოზული ხასიათის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა ლია კარიჭაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა სტანდარტების მიხედვით ნაწილობრივ შეესაბამებოდა მოთხოვნებს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არ ფიქსირდებოდა არცერთი ხარვეზი, იყო მხოლოდ ხუთი რეკომენდაცია. დაწესებულებისათვის მისაღები იყო რეკომენდაციების ნაწილი, გათვალისწინებული არ იყო მხოლოდ ორი რეკომენდაცია, რომელიც იყო არასათანადოდ ფორმულირებული და არგუმენტირებული. სხდომაზე მათი პასუხები დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე შეიცავდა საფუძვლიან დასაბუთებას იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებითაც რომლებიც არ იყო მიღებული მხედველობაში. ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ სასწავლო გეგმაში ერთიანი კურსის სახით მოწოდებული უნდა ყოფილიყო ძველი ქართული მწერლობა მეხუთე საუკუნიდან მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით. აღნიშნული პერიოდი გახლდათ ტიპობრივად და ჟანრობრივად განსხვავებული, რომელიც მოიცავდა როგორც სასულიერო ასევე საერო მწერლობას. ვინაიდან საუბარი გახლდათ ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე მიზანშეწონილი იყო აღნიშნული პერიოდი მიწოდებული ყოფილიყო სტუდენტისათვის არა ერთიანი, არამედ დანაწევრებული კურსების სახით. აღნიშნული რეკომენდაცია არ იყო გაზიარებული დაწესებულების მიერ. ექსპერტების რეკომენდაციის თანახმად სასურველი იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტობრივი ანალიზი გადატანილი ყოფილიყო მეოცე საუკუნის და თანამედროვე ლიტერატურის სასწავლო კურსში, დაწესებულების მოსაზრებით აღნიშნული შენიშვნა გახლდათ მეთოდოლოგიურად გაუმართავი, ვინაიდან აუცილებლად უნდა ყოფილიყო შესწავლილი ძველი ქართული მწერლობის კონტექსტში, სადაც იგი არ მოსწყდებოდა თავის ისტორიულ-კულტურულ საკითხებს. ექსპერტების მიერ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ასევე გაცემული იქნა რეკომენდაცია მეცხრამეტე საუკუნის ლიტერტურის სილაბუსთან დაკავშირებით, რომელიც თურმე გახლდათ საბაკალავრო დონის. ექსპერტების არგუმენტაცია მდგომარეობდა იმაში, რომ სილაბუსში მითითებული იყო კონკრეტული თხზულებები ავტორების მითითებით, რაც მიუღებელი იყო სამაგისტრო დონისათვის. დაწესებულების მოსაზრებით სასემინარო მუშაობის დროს დასახელებული უნდა ყოფილიყო თხზულებები, ვინაიდან მათი მიზანი იყო სტუდენტისათვის მიეცათ სისტემური და გაღრმავებული ცოდნა. აღნიშნულის შემდგომ დასკვნაში ასახული იქნა განზოგადებული რეკომენდაცია იმის თაობაზე რომ სილბუსთა ნაწილი არ შეესაბამებოდა სამაგისტრო დონეს. ასევე არც აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტების მიერ არ იყო გაკეთებული არგუმენტაცია თუ რომელ სილაბუსებს გულისხმობდა შენიშვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიუხედავად მათი დასაბუთებული არგუმენტაციებისა, სხდომაზე საბჭო არ დაინტერესებულა საფუძვლიანი იყო თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული შენიშვნები და არ მოუთხოვია მათთვის განმარტება. სხდომაზე საუბარი შეეხო ისეთ მეორეხარისხოვან საკითხს, როგორიც იყო არჩევითი სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილი ორი საგანი ლიტერატურის პოეტიკა და გალაქტიონი და უცხოური მწერლობა. დავა გაიმართა სახელწოდებასთან დაკავშირებით საგნის სახელწოდება უნდა ყოფილიყო თუ არა ლიტერატურის პოეტიკა თუ მხოლოდ პოეტიკა. აღნიშნული სახელწოდება მიანიშნებდა არჩევითი საგნის ზოგად ხასიათზე. დაწესებულება მზად იყო დაჟინებული მოთხოვნის

შემთხვევაში შეეტანათ კორექტირება საგნის სახელწოდებაში. აგრეთვე საუბარი გაიმართა არჩევით საგანზე გალაქტიონი და უცხოური მწერლობა. აღსანიშნავი იყო, რომ ლიტერატურის ინსტიტუტში წლების მანძილზე ფუნქციონირებდა გალაქტიონოლოგიის კვლევითი ცენტრი, რომელიც პერმანენტულად აწყობდა სხდომებს, გამოსცემდა სამეცნიერო კვლევით შრომებს გალაქტიონოლოგიასთან დაკავშირებით, წარმოუდგენელი იყო ლიტერატურის სპეციალისტს არ სცოდნოდა რომ გალაქტიონს ჰქონდა შემოქმედებითი კავშირები რუს და ფრანგ სიმბოლისტებთან, აღნიშნულ საკითხზე არსებობდა დისერტაციები, მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები, ნარკვევები და სილაბუსები. აგრეთვე მსჯელობა გაიმართა ანთროპოლოგიური კონცეპტების საკითხზე ქართულ ლიტერატურაში, რაც გულისხმობდა ადამიანთმცოდნეობას, ადამინის შინაგანი ბუნების შესწავლას, ლიტერატურის მიზანი გახლდათ სხვა არაფერი თუ არა ადამიანის, მისი სიცილაურ- კულტურული ასპექტების შესწავლა. სხდომაზე საუბარი შეეხო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, რომელიც განსაზღვრული იყო საქართველოს კანონით განათლების შესახებ და გულისხმობდა, რომ მაგისტრატურაში შესაძლებელი იყო ჩარიცხული ყოფილიყო ბაკალავრის დიპლომის მქონე ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი. მაგისტრატურის ერთ-ერთ მიზნად აღიარებული იყო პროფესიის შეცვლის შესაძლებლობაც. აღნიშნული რეგულაციით სარგებლობდა არაერთი საელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ახორციელებდა ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამას. აკრედიტაციის სხდომის მიმდინარეობისას საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ მას არ მოსწონდა კანონის აღნიშნული რეგულაცია და მიიჩნევდა რომ მათ არ უნდა მიეღოთ მაგისტრატურაში ნებისმიერი პროფესიის ბაკალავრის განათლების მქონე სტუდენტი. წარმომადგენლის განცხადებით არცერთი სხვა არსებითი საკითხი, რომელიც უშუალოდ დაუკავშირდებოდა პროგრამის შინაარსობრივ მხარეს სხდომაზე განხილული არ ყოფილა. სხდომაზე ერთ-ერთი საბჭოს წევრის მიერ აღინიშნა, რომ პროგრამა შესაძლო იყო შექმნილი ყოფილიყო კონკრეტული პირების დასაქმების მიზნით. თუმცა დაწესებულების პოზიციის თანახმად პროგრამა ემსახურებოდა მხოლოდ ლიტერატურის დარგში გარკვეული წვლილის შეტანას. პროგრამაში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალი გახლდათ დარგის წამყვანი სპეციალისტები.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ სხდომაზე საუბარი იყო იმის შესახებ თუ რამდენად გადიოდა აღნიშნული ფორმით პროგრამა დეკლარირებულ მიზნებზე. მისი მოსაზრებით პროგრამა გახლდათ შექმნილი ლიტერატურაში ვიწრო სპეციალობის პროფილით. პროგრამა ამზადებდა კონკრეტული მიმართულების სპეციალისტს ხოლო საბოლოო მიზანი გახლდათ ფართო.

საბჭოს წევრმა ნუგზარ სხირტლაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შედგებოდა სამი პუნქტისაგან: ბაკალავრის დიპლომი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ეროვნულ სამაგისტრო გამოცდაზე დადებითი შეფასება და დადებითი შეფასება სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგად. მას აინტერესებდა ხორციელდებოდა თუ არა აღნიშნული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების შემდგომ მოხდებოდა სტუდენტის ჩარიცხვა.

საბჭოს წევრი მარინა ჩიტაშვილი დაინტერესდა გაიზიარა თუ არა დაწესებულების ხელმძღვანელობამ ექსპერტების შენიშვნები და განხორციელდა თუ არა ცვლილებები უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობის პერიოდში, გააცნეს თუ არა ცვლილებები ექსპერტებს ვიზიტის დასრულებამდე, ასევე მას აინტერესებდა რამდენი სტუდენტი ჰყავდათ გათვალისწინებული პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცვლილებები განხორციელდა და ვიზიტის დასრულებამდე ეცნობათ შესაბამისი დოკუმენტაციის სახით ექსპერტთა ჯგუფს, პროგრამაზე თავდაპირველად მოიაზრებოდა 30 სტუდენტის მიღება, ხოლო ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად დაწესებულებამ მიზანშეწონილად მიიჩნია თავდაპირველად ეგულისხმა პროგრამაზე სავარაუდოდ 10 სტუდენტის მიღება. წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა დასკვნაში ასახული იყო პირვანდელი გარემოებები.

საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი დაინტერესდა დასაქმების სფეროთი, კერძოდ პროგრამაში მითითებული იყო, რომ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლო პროფესიული საქმიანობა განეხორციელებინა ბიბლიოთეკებსა და არქივებში, საგამომცემლო და მასმედიის საშუალებებში სტილისტ-რედაქტორის თანამდებობებზე. შესაბამისობაში იქნებოდა თუ არა კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია აღნიშნული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულს შეეძლო დასაქმება იქ სადაც მიმდინარეობდა ლიტერატურული პროცესი, პროგრამაში მითითებული იყო დასაქმების სტანდარტული სფეროები.

საბჭოს წევრმა გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენელს რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მეთხუთმეტე მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურის ერთ სასწავლო კურსში მოქცევის აუცილებლობას, მისი მოსაზრებით აღნიშნული არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ასევე საგულისხმო იყო დაწესებულების პოზიცია ვეფხისტყაოსანთან მიმართებით. მას აინტერესებდა გადაწყვეტილების მიღების დროს აკრედიტაციის საბჭოს წევრების მიერ გათვალისწინებული იყო თუ არა დაწესებულების პოზიცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხებზე საბჭოს არ გაუმახვილებია ყურადღება, მეტი ყურადღება დაეთმო წინაპირობებს, დასაქმების სფეროებს და პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა ლაშა გოცირიძემ განაცხადა რომ მთავარი საკითხი მდგომარეობდა იმაში გადიოდა თუ არა პროგრამა საბოლოო შედეგზე. მნიშვნელოვანი იყო რამდენად თანმიმდევრული იყო პროგრამა და სტრუქტურა, კრიტიკული იყო ხომ არ სთავაზობდა პროგრამა მაგისტრანტს საბაკალავრო დონის კურსებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, დაწესებულებას შეტანილი ჰქონდა ცვლილება იმ სილაბუსში რომელიც ექსპერტების მიერ მიჩნეული იყო საბაკალავრო დონის შესაფერისად და წარმოდგენილი ჰქონდათ აკრედიტაციის საბჭოზე. ექსპერტების მიერ სხვა სილაბუსების მიმართ აღნიშნული შენიშვნა არ ფიქსირდებოდა.

17:15 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:35 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა: ლაშა გოცირიძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28[7] მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საკითხი უბრუნდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზს წარმოადგენდა 2017 წლის 10 ივლისის სხდომაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების არასათანადოდ დასაბუთება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 17:45 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი
დავით კახნიაშვილი